სსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 2 თებერვალი 1939 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XVIII წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის მხადებისა და ჩატარების შესახებ—ცირკულარულად 2
2. მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავის ჩატარებისათვის 5
3. ბრძანება №8'4—მოზარდთა სკოლის დებულების შესახებ 7
4. დებულება უცოდინარ და მცირემცოდნეთა სკოლის შესახებ 8
5. დებულება—მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტისა . . 10
6. ბრძანება № 262—მწერალთა მუზეუმის რეორგანიზაციის შესახებ 11
7. ბრძანება 372—საქ. სამხარეთმცოდნეო საზოგადოების განსაკრძალის სისტემაში გადასვლის შესახებ 12
8. ბრძანება № 411. ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის შესახებ 12
9. სბავშვო ბაღის მუშაობა ოჯახთან . . . 14

განსახკომი
თბილისი—1939

საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონულ განათ. განყოფილებებს, დაწყებით. არა ერთ საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს (ბამგეებს). მოზარდილთა და მოზარდთა განათლების სკოლების დირექტორებს განსახაზვის სესხებაში შეჯავალ უმაღლეს სასწავლებლებს. მუზეუმებს. საკვლევო-საძიებლიერო. საკლუბო. საბიბლიოთეკო და სხვა ქვემდებარე დაწესებულებებს.

ასლი—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომეგს და საამხრეთ-ოსეთის ამტ. ოლქის განათლების განყოფილებას

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XVIII წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის მზადებისა და ჩატარების შესახებ

ა/წ 25 თებერვალს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი სიხარულით იზეიმებენ ისტორიული მნიშვნელობის თარიღს—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მენშევიკების გამეცმლური ბატონობის დამხობის XVIII წლისთავს. ამ უდიდეს ზეიმს სიხარულით შეუერთდება საბჭოთა კავშირში შემავალი მოძმე რესპუბლიკების თოეულმილიონიანი ხალხებიც.

ამ დღისათვის საბჭოთა საქართველოს თავისუფალი და ბედნიერი ხალხი შეაჯამებს იმ ბრწყინვალე გამარჯვებებს, რომელიც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, კაცობრიობის უდიდესი გენიის, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობითა და მისი ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის—ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** მეთაურობით აქვთ მოპოვებული სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

XVIII წლის მანძილზე საბჭოთა საქართველო, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების საფუძველზე, მეფის რუსეთის კოლონიურ, ჩამორჩენილ და გამყიდველ მეწშევიკების ყაჩაღური პოლიტიკით გაჩანაგებულ და დარბეულ ქვეყნიდან, გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ ერთ მოწინავე ორდენოსან რესპუბლიკად. ქვეყანა დაიფარა მაღალტექნიკით შეიარაღებულ ფაბრიკებისა და ქარხნების ქსელით, ამოძირავდა დედამიწის წიაღის უდიდესი სიმდიდრე და ძალები სახალხო ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის;

წვრილ დაქუცმაცებულ და პრიმიტივულ ვლეხური სოფლის მეურნეობის ადგილი დაიკავა მაღალი ტექნიკით შეიარაღებულმა და ბოლშევიკურად ორგანიზებულმა კოლმეურნეობებმა; აყვავდა და ისტორიაში გაუგონარი სისწრაფით წავიდა წინ მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა, სპორტი და სხვა. ამკამად საბჭოთა საქართველოს ყოეს ისეთი მეცნიერები და აკადემიკოსები, რომელთა სახელები განთქმულია არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოშიც. საბოლოოდ და საშუდამოდ მოისპო ადამიანისაგან—ადამიანის ჩაგვრა. შრომა გადაიქცა გმირობისა და სიმამაცის საქმედ. არაჩვეულებრივი სისწრაფით გაფართოვდა სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლების ქსელი, სადაც ათიათასობით იზრდება ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდები, რომლებიც იპყრობენ მეცნიერებათა მწვერვალებს, ეუფლებიან ბოლშევიზმს; უმაღლესი სკოლები ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანას აძლევენ ათიათასობით კვალიფიციურ ახალგარდა ბოლშევიკურ კადრებს—ინჟენერებს, ექიმებს, მასწავლებლებს, აგრონომებს და სხვა სპეციალისტებს. კოლმეურნეთა მასის არაჩვეულებრივად მზარდ კულ-

ტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ყოველდღიურად იზრდება და ფარ თოვდება საკლუბო საბიბლიოთეკო დაწესებულებათა ქსელი.

ექსპლოატატორულ წყობილების მძიმე უღლისაგან განთავისუფლებულმა ქართველმა მშრომელმა ხალხმა, რომელსაც არსებობის საუკუნეთა მანძილზე შეუბრალებლად ესეოდა და არბევდა ხან თათართა ურდოები, ხან არაბები, ხან მონღოლები და სხვა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან ერთად, მოგვცა შემოქმედებითი შრომის ნამდვილი სასწაულები; გამოუყენებელი და მიუვალი ადგილები დაიფარა აყვავებული ტექნიკური კულტურებით, ჭაობისა და მალარიის კოლხეთი გადაიქცა ბედნიერი და ჯანსაღი ცხოვრების ციტრუსოვან წალკოტად. ამიერ-კავკასიის ძმურ ფედერაციის მიერ ისტორიული როლის შესრულების შემდეგ, სამუდამოდ აღმოიფხვრა ეროვნული შუღლი და ჩაგვრა, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებით განმტკიცდა და გაძლიერდა სოლიდარობა და ინტერნაციონალიზმი მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან. სოციალიზმის ეს გამარჯვებანი ჩაწერილია და საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია თავისუფლების უდიდეს ქარტიაში — სტალინურ კონსტიტუციაში.

საქართველოს მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და სახელოვან შინსახკომის დახმარებით ვაანადგურეს რა ხალხის საზიზღარი მტრები—ტროცკისტ-ზინოვიევცთა და ბუხარინელთა—ყველა ჯურის ნაძირალები, შოვინისტ ნაციონალისტები, ფაშიზმის აგენტები და საზიზღარი ჯაშუშ-დივერსანტები, რომლებსაც სურდათ წაერთმიათ მშრომელი ხალხისათვის მოპოვებული გამარჯვება , და ბედნიერი ცხოვრება, დაედგათ მათზე კაპიტალისტური მონობის მძიმე უღელი,—დღითიდღე კიდევ უფრო საამურსა და ბედნიერს ხდიან საბჭოთა საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრებას.

საბჭოთა საქართველოს XVIII წლისთავის აღსანიშნავ ზეიმის ჩატარება ჩვენს ხალხებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა, სამეცნიერო-საკვლევო, საკლუბო, საბიბლიოთეკო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა გადაიქცეს უდიდეს პოლიტიკურ-სამეურნეო მნიშვნელობის ზეიმად, საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობისადმი ახალი წარმატებითი შეხვედრის ზეიმად და ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებათა მძლავრ დემონსტრაციად; მან მოსწავლე ახალგაზრდობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ბოლშევიზმის დაუფლების,—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ღრმად შესწავლის საქმე უნდა აიყვანოს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე. ამ ზეიმის ჩატარებამ კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს სიყვარულისა და თავდადების გრძნობა სოციალისტურ სამშობლოსადმი, განამტკიცოს ბოლშევიკური სიფხიზლე და სიძულვილი ხალხის მტრების მიმართ; დარაზოს მოსწავლე ახალგაზრდობა მეცნიერებათა საფუძვლების და მისი მწვერვალების დაპყრობისათვის საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

იმ მიზნით, რომ ყველა სასწავლო, სამეცნიერო—კვლევითმა, მასობრივ სავაზმანათლებლო და განსახკომის სისტემაში შემავალმა სხვა დაწესებულებებმა, უზრუნველყონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების XVIII წლისთავის აღსანიშნავად ზეიმის მაღალ ხარისხოვნად ჩატარება, საჭიროა გატარდეს შემდეგი ძირითადი ღონისძიებანი:

1. ამ ინსტრუქციის მიღებისთანავე, ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომებმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა განათლების განყოფილებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სასწავლო სამეცნიერო კვლევითმა, საკლუბო, საბიბლიოთეკო და განსახკომის სისტემაში შემავალმა სხვა დაწესებულებებმა, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, გამოყონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 18 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმის მზადებისა და ჩატარების კომისია, დაწესებულების ხელმძღვანელის მეთაურობით.

2. კომისიებმა, ადგილობრივ შესაძლებლო-

ბათა მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინების საფუძველზე, შედგენონ ზეიმის მზადებისა და ჩატარების გეგმა და შეუთანხმონ იგი რაიონულ და ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებს.

3. ჩატარდეს მოხსენებები და საუბრები XVIII წლისთავზე, საბჭოთა საქართველოს მიღწევების შესახებ.

4. გატარდეს ღონისძიებანი სსრკ სტალინური კონსტიტუციის პირმშო — საქ. სსრ კონსტიტუციის ფართოდ შესწავლისათვის.

5. ლექცია-საუბრების სახით ფართოდ გაიშალოს მუშაობა რევოლუციურ მუზეუმის და გამოფენის დათვალიერება-შესწავლის, ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული ისტორიის—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა — დაუფლებისათვის.

6. მოეწყოს საუბრები იმ გმირული ბრძოლების შესახებ, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებდა ცარიზმისა და შემდეგში,—მშრომელთა ინტერესების გამყიდველ მენშევიკური ხელისუფლების დასამხობად.

7. სათანადო საგნის მასწავლებლებმა გაკვეთილზე ჩაატარონ შესაფერისი სასწავლო მუშაობა იმ უდიდესი მიღწევების ნათელსაყოფად, რომელიც საბჭოთა საქართველომ მოიპოვა 18 წლის მანძილზე—ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ეს მუშაობა ჩატარდეს მომზადებულად, მოსწავლეთა საერთო განვითარების დონესთან შეფარდებით, გამოყენებული იქნეს ამ საქმეში დიაგრამები, კინოსურათები, პლაკატები და სხვა თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები, მოეწყოს ცოცხალი საუბარი მოსწავლეთა შორის საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში მონაწილე ამხანაგებისა.

8. ჩატარდეს მოხსენება—საუბრები ჩვენი სახელოვან წითელ არმიაზე, საბჭოთა ავიაციაზე, საუკეთესო გმირ მფრინავების შესახებ და სხვა.

9. ფართოდ იქნეს შესწავლილი ადგილებზე სკოლებისა, უმაღლეს სასწავლებლებისა და განსაკუთრებულ სისტემაში შემავალ ყველა დაწესებულებათა მუშაობა; ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე გამომჟღავნებულ იქნეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და მიღწევები, გაშლილ იქნეს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, ნაკლთა უახლოეს დროში აღმოფხვრითა და XVIII წლისთავზე მაქსიმალური მიღწევებით მისვლისათვის.

10. განსაკუთრებულ სისტემაში შემავალი ყველა დაწესებულება ზეიმის წინ ორი დღით ადრე მორთულ იქნეს საზეიმოდ, სათანადოდ მომზადებული გაფორმებით.

11. გამოიცეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XVIII წლისთავისადმი.

12. მსხვილ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში (ტფილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტი, ინსტიტუტები, მრავალკომპლექტიანი საშუალო სკოლები, მუზეუმები და სხვა) მოეწყოს 18 წლის თავისათვის მოპოვებულ მიღწევათა გამოფენები.

14. მოეწყოს ორგანიზებული ექსკურსიები წარმოებების, კოლმეურნეობების და სხვათა დასათვალიერებლად, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

15. 23 ან 24 თებერვალს ჩატარდეს საზეიმო დილა-საღამოები, წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული პროგრამების მიხედვით (მოხსენებები, მხატვრული განყოფილება—პიესის დადგმა, ლექსები და სხვა).

16. ყველა ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარებაში პასუხისმგებლობა ეკისრება ზეიმის მზადებისა და ჩატარებისათვის ჩამოყალიბებულ კომისიებს (პირადად-კომისიის თავმჯდომარეს), რომლებმაც ამ თვითვე უნდა გაშალონ მუშაობა ზეიმის ჩატარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

17. განსაკომის სისტემაში შემავალმა ყველა სასწავლო სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებმა 1 წლის 5 მარტამდე წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში ამ საქმეში მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

განათლების ხალ. კომისარი

გ. ქიქნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებს, განსახკომის სისტემაში შემავალ ყველა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს.

მუშურ-გლეხურ წითელ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავის ჩატარებისათვის

უახლოეს დღეებში ჩვენი ქვეყანა იდღესასწაულებს მუშურ-გლეხური გმირული წითელარმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის სახელოვან XXI წლის თავს: ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელები უსაზღვრო სიხარულით ემზადებიან ამ სახელოვან დღისათვის.

მუშურ-გლეხური წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის თავგანწირული ბრძოლების შედეგად შესაძლებელი გახდა დიდი ოქტომბრის მონაპოვართა შენარჩუნება და გაფურჩქვნა. ისტორიას ჯერ არ ახსოვს სამოქალაქო ომის წლებზე უფრო ძნელი და გმირული ეპოქა.

ისტორიას არ ახსოვს თავდადების და სიმამაცის ისეთი მაგალითები, როგორიც გამოიჩინეს ჩვენმა გმირმა წითელარმიელებმა და წითელფლოტელებმა ოქტომბრის მონაპოვართა დაცვაში.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობითა და დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით დღითი დღე იზრდება და მტკიცდება ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჩვენი გმირული წითელი არმია გადაიქცა ისეთ უძლეველ ძალად, რომელსაც შეუძლია ერთის დარტყმით მტვრად აქციოს ყველა მტერი, რომელიც კი განიზრახავს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისათვის ხელის შეშლას.

გენიალური სტალინის ხელმძღვანელობით უახლოესი წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა უძლიერესი და მრავალრიცხოვანი ავიაცია ბრწყინვალე საავიაციო ტექნიკით, სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ გამოზარდა უმამაცესი მფრინავები, რომელთა თავდადებამ სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეში, არ იცის საზღვარი. სტალინური ხუთწლედების პერიოდში გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა სამხედრო საზღვაო ფლოტი. ჩვენი თვალუწვდენელი საზღვაო საზღვრების დასაცავად, წყნარ ოკეანესა და ბალტიკაში, შავსა და თეთრ ზღვებში დგანან საბჭოთა უძლიერესი სამხედრო გემები და საჭირო შემთხვევაში რისხვად მოევლინებიან ჩვენი მშვიდობიანობის დამრღვევთ.

სტალინურმა ხუთწლედებმა ასობით და ათიათასობით გამოზარდა თავდადებული გმირები. ისტორიას ჯერ არ უნახავს მაგალითები სამშობლოს დაცვისათვის იმგვარი ერთგულებისა, როგორსაც ჩვენი გმირი წითელარმიელები, წითელი მფრინავები, წითელი მესაზღვრენი და წითელ-ფლოტელები იჩენენ სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი ადამიანების დაცვისათვის, ჩვენი ვრცელი მიწა-წყლის დაცვისათვის.

ხალხის საზიზღარი მტრები, სამშობლოს გამყიდველები, გამხეცებული ფაშიზმის პირსისხლიანი აგენტები — განწირულნი ისტორიის მიერ, ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენი გმირული წითელი არმიისათვის, მაგრამ მოტყუვდნენ, ისინი განადგურებულნი არიან.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიძლიერე დღითიდღე იზრდება. მუშურ-გლეხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი წითელი არმია, რომელიც თავისი სიძლიერით თავზარს სცემს ფაშიზმს, ერთი წუთითაც არ შეანელებს ფაშიზმის ნაძირალების წინააღმდეგ ბრძოლას.

მომავალშიც ისე, როგორც წარსულში, თუ ეს საჭირო იქნება, მშვიდობიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი მსოფლიო დაინახავს, თუ როგორი მტკიცეა ჩვენი ქვეყნის მშრომელების დამცველი წითელი არმია, ფლოტი და ავიაცია, თუ როგორ შეუძლიათ ჩვენს უბადლო წითელმეთაურებს, წითელარმიელებს, წითელმფრინავებს, წითელფლოტელებს და მათთან ერთად მთელ საბჭოთა ხალხს, იბრძოლონ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა შენარჩუნებისა და გამკაცებისათვის.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი დიადი ქვეყნის სიამაყის უძლეველი მუშურგლეხური წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვან 21 წლისთავის აღსანიშნავად გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს.

ყველგან — ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, თეატრებში, კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ვრცელი მიწა-წყალის ყველა კუნჭულში საბჭოთა ადამიანები გულდასმით და ენერგიულად სწავლობენ მუშურ-გლეხური წითელ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ვმირულ ისტორიას, მის უდიდეს მიღწევებს, გაცხოველებით ემზადებიან, რათა ზემის დღისათვის სიამაყითა და სიხარულით აღსავსე მოზღვავებული გრძნობები გადმოშალონ.

საბჭოთა სკოლამ, ამ ღირსშესანიშნავი დღის აღნიშვნისათვის მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, გაცხოველებით უნდა იმუშაოს.

მუშურ-გლეხური წითელ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიადი 21 წლის თავის აღსანიშნავად, განსახკომი გავალებთ ჩაატაროთ შემდეგი მუშაობა:

ქვემდებარე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 18 წლისთავის აღსანიშნავი ზემის მზადებისა და ჩატარების საქმეზე გამოყოფილმა კომისიებმა, ამ ინსტრუქციის მიღებისთანავე, დაწესებულებების სამხედრო ხელმძღვანელებისა (სადაც ასეთი არის) და სხვა მუშაკების ჩაბმით, შეადგინონ ზემისათვის მზადებისა და მისი ჩატარების გეგმა. მოაწყონ და ჩაატარონ:

1. სადაც ეს მოსახერხებელია, სამოქალაქო ომების სახელოვან მონაწილეთა საუბრები და მოგონებები მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის თავდადებული ბრძოლების სხვადასხვა მომენტების შესახებ.

2. მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაგალითო სიმამაცისა და ბრძოლების ამსახველი სპექტაკლებისა და კინო-სურათების კოლექტიური ნახვა. („რლეევა“, „ანზორი“, „თოფიანი კაცი“, კინო-სურათები: „ჩაპაევი“, „ლენინი ოქტომბერში“, „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“, „ცამეტნი“, „ბალტიკის დეპუტატი“, „დიადი განთიადი“ და სხვა).

3. კოლექტიური ექსკურსიები რევოლუციის მუზეუმებში.

4. კოლექტიური ექსკურსიები (თბილისში არსებულ სასწავლო დაწესებულებებისათვის) ამ დღესთან დაკავშირებულ გამოფენების დათვალიერების მიზნით.

5. საშეფო ნაწილებში მისვლა და წითელარმიელების ყოფისა და კულტურული მუშაობის დათვალიერება — შესწავლა.

6. მუშურ-გლეხურ წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლებისა და ცხოვრების ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებიან ადგილების, პოემებიდან ნაწყვეტების და ლექსების კითხვა.

7. სადაც ეს მოსახერხებელი იქნება, მუშურ-გლეხური წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლისა და ყოფის ამსახველი სიმღერების შესწავლა.

8. სათანადო წერილების შედგენა იმ კედლის გაზეთისათვის, რომელიც სპეციალურად უნდა გამოიცეს საზეიმო დღისათვის.

9. ისეთი პიესების დადგმა, რომელიც დაკავშირებული იქნება წითელარმიისა და ფლოტის გმირულ ბრძოლებთან და ცხოვრებასთან.

მუშურ-გლეხური წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 21 წლისთავის ზეიმის დღე ქვემდებარე დაწესებულებებმა შემდეგნაირად უნდა ჩაატარონ:

1. საზეიმო საღამოებზე, დაწყებით სკოლებში—საზეიმო დილებზე, მოსასმენი მოხსენება შედგენილი უნდა იქნეს იმგვარად, რომ მასში სჩანდეს მუშურ-გლეხურ წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირული ისტორიის ძირითადი ეტაპები, მოხსენება უნდა ასურათხატებდეს ჩვენი წითელარმიისა და წითელიფლოტის მონოლიტურ სიძლიერეს და იმ უდიდეს მიღწევებს, რომლითაც ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-18 ყრილობას ხვდება.

2. საზეიმო საღამოს, ან დილის მოსაწყობი დარბაზი უნდა გაფორმდეს სათანადოდ—მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელების სურათებით, ჩვენი გმირი მფრინავების პორტრეტებით, ლოზუნგებით, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ და ისეთი სურათებითაც, რომლებშიაც ასახული იქნება სხვადასხვა მომენტები მუშურ-გლეხურ წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირულ წარსულიდან.

3. საზეიმო დღის ჩასატარებელ დილისა და საღამოს მხატვრულ პროგრამაში შეტანილი იქნას ლექციები, და მხატვრული ნაწყვეტების კითხვა, რომლებიც ასახავენ მუშურ-გლეხურ წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლებსა და საქმიანობას.

4. მსხვილ სასწავლო-საამზრდელო დაწესებულებებში, სადაც მომღერალთა გუნდის გამოსვლაა გათვალისწინებული, უნდა იქნეს შესრულებული ისეთი სიმღერები, რომ ლებიც ჩვენს გმირ წითელარმიელებსა და წითელ ფლოტელებს ეხებიან.

5. საზეიმო საღამოზე მოწვეულ უნდა იქნენ საშეფო ნაწილების წარმომადგენლები.

6. მოხსენებებისა და საუბრების ჩატარების დროს სკოლებმა უნდა იხელმძღვანელონ მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 21 წლისთავის შესახებ იმ მასალებით, რომელიც გამოქვეყნებული იქნება, ცენტრალურ გაზეთებში.

მუშურ-გლეხური წითელარმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი 21 წლისთავის მზადებისა და საზეიმო დღის ჩატარების სათანადო ხელმძღვანელობისათვის: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლ. განყოფილებამ, საქალაქო და რაიონულმა განათლების განყოფილებებმა, შემომწონ ქვემდებარე სასწავლო საამღზრდელო დაწესებულებების მუშაობა მზადების საქმეში და კონკრეტული დახმარება გაუწიონ მათ.

განათლების სახალხო კომისარი

გ. კიკნაძე

ბრძანება № 834

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 19 თებერვალს

მოზარდთა სკოლის დებულების შესახებ.

1. დამტკიცდეს მოზარდთა სკოლის თანდართული დებულება.

2. მოზარდთა სკოლები ამთავითვე გადაკიდნენ მუშაობაზე ახალი დებულების მიხედვით.

3. ახალ დებულებაში მოცემულ სასწავლო გეგმით მოზარდთა სკოლებმა აწარმოონ მუშაობა, აწ 1 სექტემბრიდან.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე

ლ. გეგეშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი დებულება

უცოდინარ და მცირეცოდნეთა (14—18 წლის) სკოლის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების თანახმად ყველა უცოდინარი და მცირეცოდნე მოზრდილი 14-18 წლამდე ვალდებულია ისწავლოს წარმოებიდან მოუწყვეტლივ 3-წლიან საღამოს სკოლაში.

სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სამი წლით და მისი მიზანია მისცეს მოზარდებს ცოდნა მშობლიურ ენასა, არითმეტიკასა, გეოგრაფიასა, ბუნებისმეტყველებასა, რუსულ ენასა და ისტორიაში დაწყებითი სკოლის კურსის ფარგლებში.

I. სკოლის ორგანიზაცია

კლასში მოსწავლეთა კონტიგენტი განსაზღვრება 30 კაცით, მოსწავლეთა რაოდენობა კლასში შეიძლება ცვლებადობდეს 15-დან 35 კაცამდე.

შენიშვნა: 15 მოსწავლეზე ნაკლებ რაოდენობის შემთხვევაში მოზარდთა სწავლება ეწყობა ინდივიდუალური და ჯგუფური წესით.

2. მოზარდთა სკოლა უნდა მოეწყოს ისეთ ადგილას, რომ მან მომსახურება გაუწიოს 3 კილომეტრის რადიუსში მცხოვრებ მოსწავლე მოზარდებს; 3 კილომეტრზე დაშორებულ შემთხვევაში შესაძლებელია გაიხსნას სკოლა, როგორც გამონაკლისი.

3. მოზარდთა სკოლების ყველა კლასში მიღება წელიწადში ერთხელ წარმოებს. შუა სასწავლო წელში მოსწავლეთა მიღება დაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი გამოწვეულია მოზარდ მოსწავლის ან მისი მშობლის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით.

4. კლასში ჩაირიცხება მოსწავლეები ერთნაირი საერთო საგანმანათლებლო მომზადებით. მე-2, მე-3 კლ. შემსვლელნი სათანადო შემოწმების შემდეგ თავის მომზადების შესაბამისად ჩაირიცხებიან სათანადო კლასში. ცოდნის შემოწმება ამ კლასებში იწარმოებს სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული სათანადო სასწავლო დისციპლინების მიხედვით.

5. საჭიროების მიხედვით პარალელი კლასების გახსნაც შესაძლებელია.

6. *სკოლის კურსის დამთავრების დროს* ჩატარდება შემოწმებითი გამოცდები.

7. კლასიდან კლასში გადაყვანა სწარმოებს სკოლის გამგის მიერ წლიური წარმატების შეფასების საფუძველზე.

8. მოზარდთა სკოლის და აგრეთვე ინდივიდუალური ჯგუფის კურსდამთავრებულთ ეძლევათ სკოლის დამთავრების მოწმობა. ფრიადოსნებს ამას გარდა ეძლევათ ქების სიგელები.

9. მოზარდთა საღამოს სკოლები ეწყობა დაწყებით და არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებთან და სარგებლობენ მათი შენობებით, მოწყობილობით და მასწავლებელთა კადრებით.

II. სასწავლო მუშაობა

1. მოზარდთა სკოლებში მუშაობენ განსახკომის მიერ ამ სკოლებისათვის დამტკიცებული პროგრამებით.

2. სასწავლო წლის ხანგრძლივობა დაწესებულია ქალაქის სკოლებში 9, 5 თვე.

. სასწავლო წელი ქალაქის სკოლებში იწყება 1-ლ სექტემბერს და მთავრდება 15 ივნისს.

საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგები ქალაქის სკოლებში ტარდება დაწყებითი სკოლებისათვის დაწესებულ დროში.

საზაფხულო არდადეგები ქალაქის მოზარდთა სკოლებში დაწესებულია 16 ივნისიდან 31 ავგისტომდე (ჩათვლით).

მეცადინეობა ტარდება 6-დღიურში 3 დღე. 1 და მე-2 კლასებში მეცადინეობა განისაზღვრება დღიურად 4 აკადემიური საათით. მე-3 კლასში კი 5 აკადემიური საათით.

3. სასწავლო წლის ხანგრძლივობა სოფლის სკოლებში დაწესებულია 8 თვე.

სასწავლო წელი სოფლის სკოლებში იწყება 15 სექტემბერს და მთავრდება 15 მაისს. მეცადინეობა ტარდება 7 დღიურში 4 დღე მეცადინეობის ხანგრძლივობა დღიურად განისაზღვრება 1 და მე-2 კლასებში 4 აკადემიური საათით, 3 კლასში კი 5 აკადემიური საათით.

საზამთრო და საზაფხულო არდადეგები ტარდება სოფლის სკოლებში დაწყებითი სკოლებისათვის დაწესებულ დროში.

საზაფხულო არდადეგები დაწესებულია 16 მაისიდან 14 სექტემბრამდე (ჩათვლით).

4. მოზარდთა სწავლების ძირითად ფორმას სკოლაში წარმოადგენს გაკვეთილი, სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი ცხრილით.

III. მოზარდთა სკოლების გამგეთა და მასწავლებელთა შესახებ

1. მასწავლებელთა, ადმინისტრატიულ — სამნეო და მომსახურე პერსონალის შტატი წესდება კლასების და სასწავლო საათების მიხედვით.

2. სკოლის გამგის და მასწავლებლის შერჩევას აწარმოებს სარაიონო განათლების განყოფილება დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლების მასწავლებლებისაგან (შეთავსებით), აგრეთვე იმ პირებიდან, რომელთაც აქვთ საშუალო პედაგოგიური განათლება. მოზარდთა სკოლების მასწავლებლებს და გამგეებს განათლების განყოფილების წარდგენით ნიშნავს განათლების სახალხო კომისარი.

ს ა ს წ ა ვ ლ ო გ ე გ მ ა

წერაკითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოზარდთა (14—18 წლ.) სკოლებისათვის (წარმოებიდან მოუწყვეტლივ)

	ქალაქის სკოლებისათვის (6 დღიური)						სოფლის სკოლებისათვის (7 დღიური)					
	I კლასი		II კლასი		III კლასი		I კლასი		II კლასი		III კლასი	
	I ნახ.	II ნახ.	I ნახ.	II ნახ.	I ნახ.	II ნახ	I ნახ.	II ნახ.	I ნახ.	II ნახ.	I ნახ.	II ნახ.
ქართული ენა . . .	7	7	5	4	4	4	9	9	6	6	5	5
რუსული ენა . .	—	—	—	—	3	3	—	—	—	—	5	5
არითმეტიკა . . .	5	5	4	4	4	4	7	7	6	6	4	4
გეოგრაფია . . .	—	—	1	2	1	1	—	—	2	2	2	1
ბუნების მეტყველება	—	—	2	1	1	1	—	—	2	1	2	2
ისტორია . . .	—	—	—	1	2	2	—	—	—	1	2	3
	12	12	12	12	15	15	16	16	16	16	20	20

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამტკიცებ“
განათლების სახალხო კომისრის
მოადგილე ლ. გეგეშიძე

დროებითი დებულება

მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტისა.

ზოგადი ნაწილი

1. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტი წარმოადგენს პედაგოგიურ დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს სასკოლო მუშაობასა და აღმზრდელობითი საკითხების დამუშავებას.

2. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტი ამუშავებს და შეისწავლის ყველა დისციპლინის გადაცემის საუკეთესო მეთოდებს და ხერხებს დაუსწრებელი არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში.

3. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტი ხელმძღვანელობს სასწავლო განაკვეთების გამოცემას.

4. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტი მთელ თავის მუშაობას აკეთებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს სკოლის შესახებ დადგენილებათა საფუძველზე და მუშაობს განსახკომის მიერ დამტკიცებული გეგმით.

მუშაობის შინაარსი

1. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედკაბინეტი თავის ინსპექტორების საშუალებით იკვლევს მოზრდილთა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მუშაობას და ადგილებზე უწევს საჭირო მეთოდურ დახმარებას.

2. დაუსწრებელი სწავლების პედკაბინეტი ანზოგადებს, აფორმებს და ავრცელებს მოხსენებებით, ჟურნალ-გაზეთებში სტატიების მოთავსებით დაუსწრებელი სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს.

3. სისტემატურად და თანმიმდევრობით სწავლობს დაუსწრებელ სკოლებში საღამზრდელო და მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას (შეგნებული შრომითი დისციპლინა, ინტერნაციონალური და ანტირელიგიური აღზრდა, პოლიტიკური სიფხიზლე, საბჭოთა პატრიოტზმი და სხვ.).

4. მოზრდილთა დაუსწრებელი პედაგოგიური კაბინეტი პერიოდულად იწვევს კვალიფიციური პედაგოგების მეთოდურ თათბირებს, დაუსწრებელ სკოლებში სწავლების განაკვეთებისა და სხვა მეთოდური საკითხების განსახილველად.

5. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტები აწარმოებს სასწავლო განაკვეთების გამოცემას, გამომცემლობა იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე.

6. მოზრდილთა დაუსწრებელ პედკაბინეტს მჭიდრო კავშირი აქვს საქალაქო და რაიონულ პედაგოგიურ კაბინეტებთან.

პედკაბინეტის სტრუქტურა და შტატი

1. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტის სათავეში დგას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორი, რომელსაც ნიშნავს განათლების სახალხო კომისარიატი. დირექტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური სტაჟი არანაკლებ 5 წლისა.

2. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედკაბინეტის შტატსა და ბიუჯეტს ამტკიცებს განსახკომი.

3. მოზრდილთა დაუსწრებელი პედაგოგიური კაბინეტის მუშაკები სარგებლობენ ყველა იმ უფლებებით, რომელიც მინიჭებული აქვთ დაწყებითსა, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებლებს (შვებულება, პენსია და სხვ.).

4. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედაგოგიური კაბინეტის შტატი ასეთია:

1.	დირექტორი. . . .	1
2.	ინსპექტორ-მეთოდისტი .	2
3.	ბუხჰალტერი . . .	1
4.	მემანქანე საქმისმწარმოებელი	1
5.	მოლარე-კარტოტეკარი .	1
6.	დამლაგებელი . . .	1
	სულ	7

5. მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედკაბინეტი წარმოადგენს იურიდიულ ერთეულს, რომელსაც აქვს სახელმწიფო ბეჭედი და შტამპი შემდეგი წარწერით: „საქ. სსრ განსახკომის მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პედკაბინეტი“.

ბრძანება № 262

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 29 იანვარს.

მწერალთა მუზეუმის რეორგანიზაციის შესახებ

1. განსახკომის სისტემაში არსებულ მწერალთა მუზეუმს ა/წ 1 იანვრიდან ეწოდოს საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი.

2. ნება დაერთოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს გამოსცეს ყოველწლიურად ორი სამეცნიერო - ლიტერატურული კრებული.

3. საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის დირექტორად დაინიშნოს ამხ. **გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძე.**

4. დაევალოს ამხ. გ. ლეონიძეს ა/წ 1 თებერვლიდან წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის დებულების პროექტი.

განათლების სახ. კომისრის

მოადგილე ლ. ბეგეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 372

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 28 იანვარს

საქ. სამხარეთმცოდნეო საზოგადოების განსახკომის სისტემაში გადასვლის შესახებ

საქ. სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1938 წლის 25 ივლისის დადგენილების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. შეყვანილ იქნეს საქ. განსახკომის სისტემაში საქ. სამხარეთმცოდნეო საზოგადოება—მისი სახსრების ნარჩენებითა და საქმეებით.

2. დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას გაითვალისწინოს უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს 1939 წლის ბიუჯეტში საჭირო დოტაცია საქ. მხარეთმცოდნეობის საზოგადოებისათვის.

განათლების **სახ. კომისრის**
მოადგილე ლ. გეგეშიძე

ბრძანება № 411

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წელი 29 იანვარს

ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის შესახებ

ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შემოწმებამ დაადასტურა, რომ მუზეუმის მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ არსებით დეფექტებს; მუზეუმს არ გააჩნია დებულება; არ არის დაზუსტებული მუზეუმის სტრუქტურა, მუზეუმის 1938 წლის სამუშაო გეგმა ზოგადი ხასიათისაა, 1938 წლის საექსპედიციო მუშაობა ჩაშლილია, ამ საქმისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა 9.500 მან. აუთვისებელია, სუსტად სწარმოებს სამუზეუმო კოლექციების დაგროვება, უყურადღებოდ არის მიტოვებული მუზეუმის ახალი მშენებლობა, უპასუხისმგებლობის შედეგად გადაყრილ-იქნა კერამიკის ძვირფასი კოლექციები და სხვ.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დაევალოს სააღმშენებლო სამმართველოს უფროსს ამხ. მელიქაძეს სამი დღის განმავლობაში გამოარკვიოს ადგილობრივ—ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობის მდგომარეობა,—მიიღოს გადამჭრელი ზომები მშენებლობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად და მშენებლობის შემაფერხებელ მიზეზთა დაუყოვნებლივ სალიკვიდაციოდ მიღებულ ზომათა შესახებ მომახსენოს მე.

2. დაევალოს ქუთაისის მხარეთმცოდნეო-

ბის მუზეუმის დირექტორს ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით უზრუნველყოს მუზეუმის ქონებათა (ქუთაისში და გელათში) სათანადო და წესიერი მოვლა.

3. წინადადება მისცეს ქუთაისის პედინსტიტუტის დირექტორს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს, დაუყოვნებლივ გადასცეს ადგილობრივ პროკურატურას გამოსაძიებლად პედინსტიტუტის ყოფ. კომენდანტის კაპანაძის საქმე, ყოველგვარი წინასწარი მასალებითა და დოკუმენტებით.

4. სანამდე მოწესრიგდებოდეს ქუთაისის მუზეუმის ბინის საკითხი, განძეულობის შესაფერისი დაცვა-შენახვა (ცეცხლგამძლე ყუთების შეძენა, არსებულ გამოფენაში საჭირო კორექტივების შეტანა) საქართველოს სახმუზეუმის სპეციალისტთა დარგობრივი ინსტრუქციით, დაიხუროს ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მნახველთათვის.

5. პედინსტიტუტის განკარგულებაში მყოფი, გელათის ყოფ. მონასტრის საცხოვრებელი შენობები დაუბრუნდეს ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და მასვე დაევალოს იქედან კერძო მობინადრის დაუყოვნებლივ გამოსახლება.

6. დაევალოს საქართველოს სახმუზეუმს:

ა) შეადგინოს ყველა არსებულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის საჭირო ინსტრუქციები: გეგმების შედგენის, მხარეთმცოდნეობის, სამეცნიერო-კვლევითი, ექსპედიციო, საექსპოზიციო და საგამომცემლო დარგებში.

ბ) ჩაატაროს დეტალური რევიზია—სპეციალური აღწერით (არსებულ აქტებთან შედარებით) ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განკარგულებაში მყოფ ძვირფასი ნივთებისა;

გ) გადასინჯოს ქუთაისის მუზეუმის 1939 წლის სამუშაო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა და საჭირო კორექტივების შეტანის შესახებ თავისი დასკვნები წარმოუდგინოს საქ. განსახკომის უმაღლეს სკოლების სამმართველოს.

7. ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ამხ. კ. მეძველიას გამოეცხადოს საყვედური სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

8. წინადადება მიეცეს ამხ. კ. მეძველიას უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყოს ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის იმ დეფექტების გამოსწორება, რომლებიც მითითებულია კომისიის გამოკვლევის აქტში.

9. უმაღლესი სკოლების სამმართველომ ა/წ 1 მარტამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მომახსენოს მე.

განათლების სახ. კომისრის
მოადგილე ლ. ბეზეშიძე

საბავშვო ბაღის მუშაობა ოჯახთან

სკოლამდელთა აღზრდა საბჭოთა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი საქმეა. ჩვენს ბავშვებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა ნამდვილად ბედნიერი ბავშვობისათვის. პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა ქვეყნის ბავშვებისადმი. საბავშვო ბაღები, პარტიისა და ხელისუფლების მითითებებით ბავშვებს კომუნისტურად ზრდიან, ზრდიან ჯანსაღ, ჩალისიან, ყოველმხრივ განვითარებულ თაობას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგულ პატრიოტებს. ბავშვებს არა მარტო საბავშვო ბაღი ზრდის, ზრდის აგრეთვე ოჯახიც. საბჭოთა მთავრობა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მშობლებს ბავშვთა აღზრდის საქმეში. მატერიალურმა კეთილმდგომარეობამ და საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა კულტურულმა ზრდამ შექმნა ისეთი პირობები, რომელთა დახმარებით ოჯახს შეუძლია თავის ბავშვს დიდი ყურადღება მიაქციოს, რათა აღზარდოს თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე და მისცეს მას ნამდვილად კომუნისტური აღზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო ბაღმა უნდა დააწესოს ბავშვთა აღზრდის ერთიანობა საბავშვო ბაღსა და ოჯახში. ამისათვის თითოეული საბავშვო ბაღი უნდა ატარებდეს მშობლებთან ერთად მუშაობას მათთ ბავშვების აღზრდის საქმეში, ბაღი კარგად უნდა იცნობდეს ოჯახს, ბავშვს, უნდა აცნობდეს მშობლებს საბავშვო ბაღის მუშაობას, საჭირო შემთხვევებში ეხმარებოდეს მას ბავშვის აღზრდაში და აგრეთვე იმათი გამოცდილებითაც სარგებლობდეს.

მშობლებთან მუშაობის შინაარსი განისაზღვრება ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საერთო ამოცანებითა და თითოეული საბავშვო ბაღის კონკრეტული პირობებით.

საბავშვო ბაღის გამგე აყალიბებს და ხელმძღვანელობს მთელს მუშაობას მშობლებთან და ატარებს ამ მუშაობას აღმზრდელთა და ექიმთან ერთად. ყოველი აღმზრდელი პასუხს აგებს თავისი ჯგუფის მშობლებთან მუშაობისათვის.

არსებობს მშობლებთან მუშაობის ინდივიდუალური და მასობრივი ფორმები. ინდივიდუალური ფორმებია — მშობლებთან ბაასი, ბავშვის ნახვა ბინაზე, მორიგეობა და მშობლებთან მიწერ-მოწერა. მუშაობის მასობრივ ფორმებს ეკუთვნის მშობელთა ჯგუფური და საერთო კრებები, საღამოები, გამოფენები. ექსკურსიები და სხვადასხვა წრე.

კონკრეტული ფაქტებითა და მაგალითებით ინდივიდუალურ საუბრებში აღმზრდელი ყოველ მშობელს აცნობს მიღწევებს მისი ბავშვის განვითარებაში, აჩვენებს ბავშვის ნაბატებს, ტამბობს როგორ თამაშობს ბავშვი, როგორია მისი ინტერესები და განწყობილება.

იმავე დროს ის იგებს მშობლებიდან, რითი არიან გართული ბავშვები შინ, როგორ იქცევიან, კარგად ხელმძღვანელობენ მათ აღზრდას თუ არა. ინდივიდუალური საუბრების დახმარებით აღმზრდელს საშუალება ეძლევა უკეთესად გაიცნოს თითოეული ბავშვი და ამგვარად გამოსძებნოს სწორი მიდგომა, მისცეს მშობლებს კონკრეტული დარიგება, ისარგებლოს მშობლების გამოცდილებითა და რჩევებით.

ბავშვთა წარმატებითი აღზრდისათვის საჭიროა ბავშვთა ბაღში და ოჯახში, აღმზრდელმა ბავშვები სახლში უნდა ინახულოს. აღმზრდელი ყურადღებას აქცევს ბინას: უზრუნველყოფილია თუ არა ბავშვის ფიზიკური მოვლა ოჯახში(ცალკე საწოლი, პირსახოცი და სხვა), როგორ ატარებს დროს ბავშვი საბავშვო ბაღიდან მოსვლის შემდეგ, როდის წვება, რა შეადგენს მის სიხარულს, სურვილს, აქვს თუ არა წიგნები, სათამაშოები, ჰყავს თუ არა ამხანაგები.

აღმზრდელის ოჯახში მისვლას ფორმალური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს (გამოკვლევა სქემის მიხედვით და სხვა). აღმზრდელი იქვე აღნიშნავს როგორ უნდა შეიცვალოს ბავშვის ცხოვრების პირობები, და მშობლებს მთელ რიგ კონკრეტულ რჩევას აძლევს. წლის განმავლობაში აღმზრდელმა უნდა ინახულოს თითოეული ბავშვი ორჯერ მაინც, ხოლო ზოგიერთები კი, სადაც მისი სისტემატური დახმარებაა საჭირო, გაცილებით—მეტჯერ.

ბავშვის სახლში ნახვის შემდეგ, თავის შთაბეჭდილებებს, დაკვირვებებს, დასახულ ღონისძიებებს აღმზრდელი განსაკუთრებულ რვეულში აღნიშნავს დასამახსოვრებლად.

მშობლებთან მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბავშვო ბაღის აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსისა და მეთოდების გაცნობას. ეს ტარდება მშობლების მორიგეობის დროსაც, მორიგეობას ავალებენ ისეთ მშობლებს, რომლებსაც თავისუფალი დრო აქვთ. მორიგე მშობლების გამოყენება არაა საჭირო უმთავრესად ტექნიკურ სამუშაოზე. საჭიროა ისინი მიეცეს შესაძლებლობა თვალყური ადევნონ: ბავშვები როგორ თამაშობენ, როგორ ძერწავენ, ხატავენ, მღერიან, როგორ ექცევიან ერთმანეთს, როგორი მიდგომა აქვს აღმზრდელს კერძოდ თითოეული ბავშვისადმი.

შეიძლება მშობლებს პატარ-პატარა დავალებები მიეცეს: თვალყური ადევნონ ბავშვებს ხელების დაბანის დროს, დაეხმარონ ბავშვებს ჩაცმაში, ბავშვებთან ერთად დაალბაონ სათამაშოები და სხვა. ყველაფერი ეს შველის მშობლებს გამონახონ რაც შეიძლე-

ბა სწორი მიდგომა თავისი ბავშვების მიმართ, გადაიტანონ ოჯახში აღზრდის საუკეთესო ხერხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ მშობლები ხშირად იძლევიან მნიშვნელოვან წინადადებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ბავშვებთან მუშაობაში. არის შემთხვევები, როდესაც აღმზრდელს ბავშვის მშობლების ნახვა არ შეუძლია (გვიან თავისუფლდებიან მუშაობიდან, ან ზაფხულში, როდესაც ბავშვი ახალშენშია წასული), იმას კი სჭირდება მათთან მოლაპარაკება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მადისა და ამათუიმ არა სასურველ ჩვეულებათა შესახებ, ასეთ შემთხვევაში აღმზრდელი მიწერ-მოწერას აწარმოებს მშობლებთან.

მშობლებთან მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელთა ჯგუფურ კრებებს; ისინი 2-3 თვეში ერთხელ ტარდება. ამ კრებებზე აღმზრდელი აცნობს მშობლებს ჯგუფთან აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებს. აღნიშნავს განსაკუთრებით თვალსაჩინო მომენტებს ბავშვთა ცხოვრებიდან, უამბობს როგორ და რას თამაშობენ ბავშვები, რომელი წიგნები უყვართ ყველაზე მეტად, როგორ სიმღერებს მღერიან, როგორი გასართობი უფრო იზიდავს ბავშვებს, როგორ და რას ხატავენ ბავშვები, როგორაა განვითარებული მათი მეტყველება და სხვა.

კონკრეტული მასალით სარგებლობის დროს, აღმზრდელს ცალკე საკითხების წამოყენებაც შეუძლია, მაგალითად სათამაშობებისა და თამაშის შესახებ, საბავშვო ლიტერატურის, მეტყველების განვითარების, რეჟიმისა და მისი მნიშვნელობის, ბავშვთა ვასართობებისა და სხვათა შესახებ.

თავის მხრივ მშობლებიც უამბობენ თავის ბავშვებისა და იმის შესახებ, თუ როგორ ზრდიან მათ ოჯახში. ყოველ კრებისათვის აღმზრდელი გულმოდგინედ უნდა მოემზადოს: შეადგინოს თავისი საუბრის გეგმა, წაიკითხოს შესაფერისი ლიტერატურა, შეარჩიოს ბავშვთა ნამუშევარი და სხვა მასალა მშობლებთან საუბრის ჩასატარებლად.

ჯგუფურ კრებაზე ექიმი აკეთებს მოხსენებას ჯგუფის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცალკეულ ბავშვთა ჯანმრთელობის შესახებ.

მშობელთა საერთო კრებებს მართავენ საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ 3-4-სა წლის განმავლობაში. ისინი აცნობენ მშობლებს საბავშვო ბაღს და აცხოველებენ მათ ინტერესს ბაღისადმი. ამ კრებებზე წამოყენებული უნდა იყოს საკითხები, როგორც ორგანიზაციული ისე აღმზრდელობითი ხასიათისა. ორგანიზაციული საკითხები ისაა, რომელნიც მშობელთა მთელი კოლექტივის განსჯას მოითხოვენ, მაგალითად: ბავშვების გაყვანა ავგარაჯზე, ახალი სამუშაო წლისათვის მზადება, მშობელთა კომიტეტის არჩევა, გამგის საანგარიშო მოხსენება და სხვ. აღმზრდელობითი საკითხები ასეთია: აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა საბავშვო ბაღში, დღესასწაულების მნიშვნელობა, ექიმის მოხსენება და სხვ.

კრებამდე ან კრების შემდეგ ჯარგია მშობლებმა დაათვალიერონ საბავშვო ბაღი, გაეცნონ თამაშისა და მეცადინეობისათვის საჭირო მოწყობილობას, სათამაშოებსა და ხელსაწყოებს. ეს აგრეთვე აცხოველებს მშობლების ინტერესს საბავშვო ბაღისადმი, იწვევს მათში მთელ რიგს შეკითხვებს. დროგამოშვებით შეიძლება მშობლებისათვის მხატვრული საღამოები მოეწყოს. ამ საღამოებზე იმართება მოხსენებები ბავშვის წიგნის, ზღაპრის, მხატვრული თხრობისა და სხვ. შესახებ. შეიძლება მოიწვიონ საბავშვო მწერლები, მუსიკოსები, მთხრობლები, მომღერლები, რომლებიც გააცნობენ მშობლებს საბავშვო სიმღერებს, უამბობენ ზღაპრებს, წაკითხავენ წიგნებს.

ასეთ საღამოებზე მშობლებს შეუძლიათ თავისი შემოქმედებითი თვითმოქმედება გამოიჩინონ.

მშობლებთან ერთად შეიძლება ექსკურსიის მოწყობა სხვა საბავშვო ბაღში, მუზეუმებში (რეგიოლუციის, სათამაშოების და სხ.). საბავშვო ბაღის მუშაობით განსაკუთრებით დაინტერესებულ მშობელთა პატარა ჯგუფისათვის შეიძლება ჩამოყალიბდეს საბავშვო ლიტერატურის, თამაშობების, სათამაშოების,

39-62

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძვის ხის მოსართავ სამკაულების დამზადებისა და სხვათა წრეები. ერთი საკითხის შინაარსმა უნდა შეავსოს 5-6 მეცადინეობა.

საბავშვო ბაღში საჭიროა გამოიყოს ადგილი მშობელთა კუთხისთვის, საჭიროა მოეწყოს პერიოდული გამოფენები. ასეთ კუთხეში გამოკიდულია საბავშვო ბაღის რეჟიმი, ხუთდღიურის მენიუ, ბავშვებთან მეცადინეობის სანიმუშო გეგმა, ბავშვისთვის დღის სანიმუშო განაწესი ოჯახში მისი ბაღიდან დაბრუნების შემდეგ და გამოსასვლელ დღეს.

კუთხეში საჭიროა ბავშვებისთვის შესაფერისი საკითხავი წიგნების სია, წიგნებისა და საბავშვო ტანისამოსის ნიმუშები და თარგები იმ მასალებისა და სათამაშოების, რომლებითაც ბავშვები სახლში იმეცადინებენ და ითამაშებენ. აქვე უნდა იყოს ბავშვების ნამუშევარის ნიმუშები, ფოტო, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა მოზეზებს ბავშვების ცხოვრებიდან. ყველაფერი ეს დაეხმარება მშობლებს თვალსაჩინოდ დაინახონ ბავშვთა აღზრდის მიღწევები, უკეთესად გაიგონ საბავშვო ბაღის მუშაობა, გამოიყენონ აღმზრდელობითი ჩვევები ბავშვის აღზრდისას ოჯახში. გამოსაფენი მასალის გადახალისება სისტემატურად უნდა ხდებოდეს. მაგალითად ნაძვის ხის მოწყობილობასთან დაკავშირებით კარგია გამოიკიდოს მითითება იმის შესახებ, თუ როგორ მოუწყონ ბავშვს დღესასწაული ოჯახში, რა აჩუქონ, როგორ გაართონ, გამოსაფენ მასალას მშობლები დამოუკიდებლად და საბავშვო ბაღის მუშაკების დახმარებით ეცნობიან, როდესაც მშობლები ბავშვებს მიაკითხავენ, გამგე ან აღმზრდელი იმათ ყურადღებას ახალ მასალაზე შეაჩერებს, თითოეულ მათგანს ცალკე აძლევენ რჩევას.

ახალშენიდან დაბრუნების შემდეგ, სამუშაო წლის ბოლოში, შეიძლება ბავშვების ნამუშევრების გამოფენის მოწყობა. ამ გამოფენაზე შეძლებისდაგვარად ყველა ბავშვის ნამუშევარი უნდა იყოს მოცემული; ნაჩვენები უნდა იყოს იმათი წინსვლა ყოველი ბავშვის ნამუშევარის გამოფენის საშუალებით. შეიძლება მოეწყოს საბავშვო სათამაშოსა და საბავშვო წიგნის გამოფენა.

როგორც კუთხის, ავრეთვე გამოფენის მასალა მხატვრულად უნდა იყოს გაფორმებული. ყოველ საბავშვო ბაღში გამოკიდებული უნდა იყოს საინფორმაციო მასალა მშობლებისათვის, წესები, განცხადებები მშობელთა კრებებისა და წრეების შესახებ, ექიმის მიერ მშობლების მიღების დრო და სხვ.

საბავშვო ბაღის საზოგადოებრივი მუშაობა მარტო ოჯახთან მუშაობით არ უნდა განისაზღვრებოდეს, განსაკუთრებით იმ საბავშვო ბაღებში, რომლებიც წარმოებას ემსახურებიან.

პედაგოგიური პროპაგანდის მიზნით საბავშვო ბაღის მუშაკები წარმოების კედლის გაზეთში იღებენ მონაწილეობას, აწყობენ გამოფენებს წარმოებაში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების პლენუმზე, აკეთებენ მოხსენებებს აღზრდის სხვადასხვა საკითხის შესახებ და ავრეთვე საანგარიშო მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ, ათავსებენ წერილებს გაზეთებში.

პ მგ. რედაქტორი ლ. ბეგეშვილი

სტამბა „ზარია ვოსტოკა" რუსთაველის პრ. № 36, თბილისი

მთავლიტი № 5613 შეკვ. № 519 ტირაჟი 5000